LCC
Law Firm

საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2024 წლის ივლისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2024 წლის ივლისის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2024 წლის 3 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №224 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დანართი №IV-01-ის განაყოფი V და განაყოფი VI ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017834

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებაში 2024 წლის 10 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №234 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დანართი №II-041 (სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის, სისტემურ-ელექტრონული

ფორმით აზარტული თამაშობების ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია); „მუხლი 33[1] (სათამაშო აპარატების სალონის მომწყობი პირის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის თამაშობების ორგანიზატორის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017837

ბრძანება ამოქმედდა 2024 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №87/04

2024 წლის 5 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეიდენტის №174/04 ბრძანებით „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 13 ივნისის №87/04 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და (ბრძანების პრეამბულა); (ზოგადი დებულებები) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220020050.18.011.016865

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

LCC
Law Firm

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2024 წლის 8 ივლისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №229 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017836

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №188/04

2024 წლის 26 ივლისს დამტკიცდა „საინვესტიციო ფონდების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარდგენის წესი“ დანართებთან ერთად.

საინვესტიციო ფონდები ამ ბრძანებით დამტკიცებული რისკის ზედამხედველობის პირველი ანგარიშგების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენას უზრუნველყოფენ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდზე, არაუგვიანეს 2024 წლის 31 აგვისტოსი.

ზემოაღნიშნული წესისი სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016869

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

LCC
Law Firm

საქართველოს მთავრობის დადგენილება №182

2024 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობის №220 დადგენილებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №4 ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ამ დადგენილებით გათვალისწინებული საფასურები გავრცელდა სასაქონლო ნიშნის იმ განაცხადებზე, რომლებზეც სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ საქმისწარმოება დაიწყო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან. განაცხადებზე, რომლებზეც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე მიმდინარეობს საქმისწარმოება, მოწმობის გაცემის ჩათვლით, გავრცელდეს ის საფასურები, რომლებიც მოქმედებდა განაცხადის სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტში“ შეტანის დროს.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050030000.10.003.024614

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

N22 Melashvili Str. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str. Tbilisi, Georgia
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge